



ჰიდროტექნიკური მშენებლობის ტექნიკოსი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ჰიდროტექნიკური მშენებლობის ტექნიკოსი

II. პროფესიული განათლების საფეხური: მეოთხე

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰიდროტექნიკური მშენებლობის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25სთ), სულ 1500 საათი.

აქედან:

40 კრედიტი (1010 საათი) სასწავლო კომპონენტისთვის (საკონტაქტო საათი - 630; დამოუკიდებელი-268, შუალედური/დასკვნითი შეფასება - 112);

20 კრედიტი (490 საათი) პრაქტიკის კომპონენტისთვის (საკონტაქტო საათი - 490);

შეფასების-112;

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: მეოთხე საფეხურზე დაიშვებიან პირები ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის შედეგებისა და პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების საფუძველზე, ან აქვთ ამავე სპეციალობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის დიპლომი.

VI. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს მეოთხე საფეხურის ჰიდროტექნიკოსი, რომელსაც შეუძლია შეასრულოს ჰიდროტექნიკური მშენებლობის წინასწარი საპროექტო მოკვლევის, პროექტირების და მშენებლობის სამუშაოები.

VII. სწავლის შედეგების რუქა

მისაღწევი შედეგები შესაბამისი კომპონენტების მიხედვით:

საგნები	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
მათემატიკა	X		X		X	
ფიზიკა	X		X		X	
ინგლისური ენა	X	X		X	X	X
სამშენებლო და კომპიუტერული ხაზვა	X	X			X	
მეწარმეობის საფუძვლები	X	X	X	X		X
სამშენებლო მასალები	X	X			X	
საინჟინრო გეოდეზია გეოდეზია	X	X			X	
თეორიული მექანიკა	X				X	
ინფორმატიკა	X	X		X	X	
ჰიდრაულიკა და	X	X	X		X	X

ჰიდრომეტრია						
ჰიდროტექნიკური ნაგებობები I	X	X	X		X	X
მცირე ჰიდროელექტროსადგურები	X	X	X		X	X
მასალათა გამძლეობა	X	X				
ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა წარმოება	X	X	X			X
პროფესიული პრაქტიკა	X	X	X		X	X

VIII. სასწავლო გეგმა

ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა					დამოუკიდებელი საათები	სულ საათების რაოდენობა
		საკონტაქტო საათები						
		ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	დასკვნითი შეფასებაშუალედური/		
I სემესტრი								
მათემატიკა	5	30/30	-	-	-	8	57	125
ფიზიკა	3	15/15	15	15	-	8	7	75
ინგლისური ენა	5	60	-	-	-	8	57	125
სამშენებლო და კომპიუტერული ხაზვა	5	30/30	-	45	-	8	12	125
მეწარმეობის საფუძვლები	5	30/30	-	-	-	8	57	125
სამშენებლო მასალები	3	15	15	30	-	8	7	75
თეორიული მექანიკა	4	45/30		-	-	8	17	100
II სემესტრი								
საინჟინრო გეოდეზია	3	15/	15	30	-	8	7	75
ინფორმატიკა	5	-	30	75	-	8	12	125
ჰიდრავლიკა და ჰიდრომეტრია	5	30/15	15	45	-	8	12	125
ჰიდროტექნიკური ნაგებობები I	6	30	-	-	110	8	2	150
მცირე ჰიდროელექტროსადგურები	4	15/15	-	-	60	8	2	100
მასალათა გამძლეობა	3	15	15	30	-	8	7	75
ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა წარმოება	4	30	-	-	50	8	12	100
სულ	60	525	105	270	220	112	268	1500

IX. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას;
- ლაბორატორიულ სამუშაოებს;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- სასწავლო პრაქტიკას;
- საწარმოო პრაქტიკას;
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

X. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტი;
- ზეპირი გამოკითხვა;
- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი
- დაკვირვება და დემონსტრირება.

XI. სწავლების მეთოდები:

თეორიული სწავლება;

პრაქტიკული მეცადინეობა;

ლაბორატორიული სამუშაო;

სასწავლო პრაქტიკა;

საწარმოო პრაქტიკა;

XII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ ადამიანური რესურსების შესახებ

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების მეოთხე ან მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
2. მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
მათემატიკა	ვლადიმერ ხოჭოლავა	დოქტორი
ფიზიკა	შოგირაძე მარინა	მასწავლებელი
ინგლისური ენა	დევერისაშვილი მაია	მასწავლებელი
სამშენებლო და კომპიუტერული ხაზვა	ვახტანგ ჭანკოტაძე, მანანა ნოზაძე	დოქტორი დოქტორი
მეწარმეობის საფუძვლები	დავით ბაქრაძე	მასწავლებელი
სამშენებლო მასალები	ზეინაბ ქარუმძე	დოქტორი
გეოდეზია	სერგო ცუცქერიძე	დოქტორი
თეორიული მექანიკა	ტარიელ კვიციანი	დოქტორი
ინფორმატიკა	შავერდაშვილი ლაურა	მასწავლებელი
ჰიდრაულიკა და ჰიდრომეტრია	ავთანდილ გოგოლაძე	დოქტორი
ჰიდროტექნიკური ნაგებობები I	მირიან ყალაბეგიშვილი	დოქტორი
მცირე ჰიდროელექტროსადგურები	ნოდარ კოდუა კონსტანტინე ხაზალია	დოქტორი დოქტორი
მასალათა გამძლეობა	ნუგზარ მურღულია	დოქტორი
ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა წარმოება	გულსუნდა ანდღულაძე	დოქტორი

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროტექნიკური მშენებლობის ტექნიკოსის პროფესიული სწავლებისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:
I კორპუსი, ჰიდროტექნიკური მშენებლობის ტექნიკოსის მომზადებისათვის საჭირო თვალსაჩინოებანი და სადემონსტრაციო მასალები, პრეზენტაციები და ვიდეოფილმები.

XIV. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა

საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შემავალ სსიპ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სასწავლო-სამეცნიერო ბაზაზე.

იხ. დანართი

XV. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

მეოთხე საფეხურის ჰიდროტექნიკური მშენებლობის ტექნიკოსის პროგრამის წარმატებულად დამთავრების შემდეგ, სტუდენტს საშუალება ეძლევა გააგრძელოს სწავლა მეხუთე საფეხურის ჰიდროტექნიკური მშენებლობის ტექნიკოსის პროგრამით.

